

**კაუზატივის ფორმები
იმერხელ დიალექტში**
**CAUSATIVE FORMS ACCORDING
TO IMERKHEVI MATERIALS**

თინათინ მილორავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო ნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო

Tinatin Milorava

Akaki Tsereteli State University
Kutaisi. Georgia

ABSTRACT

The article deals with instances of formation of causative in Imerkhevi dialect compared to the Georgian literary language and other dialects. Similar or different facts found in the speech of the Imerkhevi Georgians are presented. The study is mainly based on new dialect materials obtained in Imerkhevi villages (Shavsheti district, Turkey) by researchers from the Scientific-Research Center of Kartvelology affiliated to Akaki Tsereteli State University during 2006-2018. In addition, published Imerkhevi texts have been examined (N. Marr, Sh. Putkaradze).

In Imerkhevi the causative is mostly formed by means of -in and -evin suffixes. Forms with -ev suffix hardly ever occur. -in morpheme is frequently phonetically simplified and is used without a n consonant: *moaparvia* (<moaparvina), *damaḡarḡvia* (<damaḡarḡvina), etc. Similar facts occur in other Georgian dialects (generally, in a spoken language)

“n” consonant of the -evin suffix is also often missing: *daaḡvlevieben* (<daaḡvlevineben), *atkmevia* (<atkmevina), etc. Sometimes -evin formant is attested unmodified: *macdevine*, *amaaḡrevines*, etc.

Such instances also occur in other Georgian dialects.

Imerkhevi texts feature specific forms of causation such as: *gaačrevnia*, *gvaḡvlevnieps...* *čameeḡanlebies*, *davaḡromie*, *davačenebiebdi*, etc.

mogaḡvdinos! Is an archaically formed word of particular interest.

The analyzed material demonstrates that causative in Imerkhevi is formed in multiple ways;

The facts that are similar to and different from the Georgian literary language are verified. In certain cases, archaic Georgian forms also occur.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, იმერხელი დიალექტი, ზმნის ფორმანარმოება, კაუზატივი.

Keywords: Georgian Language, Imerkhevi Dialect, Verb Formation, Causative.

სამეცნიერო ლიტერატურაში კონტაქტის კატეგორიის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. კაუზატივის, ანუ შუალობითი კონტაქტის, ნიშნებად დასახელებულია **-ევ, -ინ, -ვეინ** სუფიქსები.

აღნიშნულ მორფემათა განაწილების ზოგადი წესი ასეთია:

-ევ სუფიქსი ძველი ქართულისთვის არის დამახასიათებელი (ახნ-ევ-ს). ამჟამად დაცულია ზოგიერთ დიალექტში (ხევს., თუმ...), თანამედროვე ქართულში დასტურდება რამდენიმე ზმნაში: აჭმ-**ევ**-ს, ასმ-**ევ**-ს... (იმავედრო-ულად **-ევ** გააზრებულია თემის ნიშნად):

თანამედროვე სალიტერატურო ენასა და კილოებში გავრცელებულია **-ინ, -ვეინ** სუფიქსები. მათი გამოვლენა უმთავრესად ფუძის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. კერძოდ:

-ინ სუფიქსი დაერთვის მარცვლოვან ფუძეს: ა-წერ-**ინ**-ებ-ს, ა-კეთებ-**ინ**-ებ-ს...

-ვეინ წარმოდგენილია უმარცვლო ძირის მქონე ფორმებთან: ადგმ-**ვეინ**-ებს, აკვლ-**ვეინ**-ებს, აჭრ-**ვეინ**-ებს... (ჯორბენაძე... 1988: 134, 236-237).

კაუზატივის ფორმანტები აწარმოებენ სხვადასხვა ყალიბის ზმნებს.

დიალექტებსა და ზეპირ მეტყველებაში კაუზატივის მანარმოებელი სუფიქსები სხვადასხვა ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიან.

ფონეტიკური ფაქტორის შედეგად:

1. **-ინ** მარტივდება დიალექტებში (და, საერთოდ, ზეპირ მეტყველებაში):

-ინ > ი: ა-წერ-**ი**-ებ-ს, ა-კეთებ-**ი**-ებ-ს...

2. **-ვეინ** რთული სუფიქსი ზეპირ მეტყველებაში ფონეტიკურად მარტივდება: მო-აკვლ-**ვეინ**-ებს > მოაკვლ-**ეინ**-ებს||მოაკვლ-**ევი**-ებს... ე.ი. იკარგვის ხან **-ვ**, ხან **-ნ**. 2. ზოგ დიალექტში (მაგალითად, ხევსურულში) **-ვეინ**-ის ნაცვლად გამოიყენება **ევივ > ევი:** ახვნ-**ევი**-ებ-ს... (იქვე: 137).

აღნიშნულ კატეგორიას ვრცლად ეხება ა. შანიძე. მეცნიერმა დასახელებული ფორმები კონტაქტის კატეგორიაში გააერთიანა და მის მანარმოებლად გამოყო **-ევ, -ინ, -ვეინ** ფორმანტები, აგრეთვე ა- პრეფიქსი **-ებ** სუფიქსთან ერთად, აკ. შანიძე წერს: „წარმოქმნა გარდაუვალი ზმნისაგან გარდამავალისა (ტირ-ი-ს > ა-ტირ-ებ-ს...) და უშუალო კონტაქტის ზმნისაგან შუალობითი კონტაქტისა (წერ-ს > ა-წერ-ინ-ებ-ს...) წარმოების თვალსაზრისით შეიძლება გაერთიანებულ იქნეს“ (შანიძე 1980: 369).

არნ. ჩიქობავას აზრით, **ა-** კაუზატივის სპეციალური ფორმანტია. იგი მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზად კაუზატივს მიიჩნევდა (ჩიქობავა 1950: 059). ამის ნიმუშად კი მოჰყავდა „წუხს“ და „აწუხებს“ ზმნათა (და არა ზმნურ ფორმათა - ს.ა.) მიმართება.

ბ. ჯორბენაძე გამოიყენებს **ა-** პრეფიქსის მიჩნევას კაუზატივის მანარმოებელ მორფოლოგიურ ელემენტად, თუმცა იმასაც მიუთითებს, რომ „ზოგიერთი ტიპის ზმნებს გარკვეულ კონტექსტში (მაშინ, როცა

სამვალენტოანი ხდებიან: ამღერებს ის მას მას) შეუძლია გამოხატოს კაუზატივის მნიშვნელობა, მაგრამ იმავდროულად, ყალიბის მიხედვით, ისინი მოქმედებით გვარის ჩვეულებრივი ზმნებია“ (ჯორბენაძე 1983: 48). გარდა ამისა, იგი წერს, რომ ა- პრეფიქსი ვერ მიიჩნევა კაუზატივის მანარმოებლად, რამდენადაც ა-ს თუ შევცლით ე- ხმოვანი პრეფიქსით, ზმნა მაინც გამოხატავს კაუზატივს; ნიმუშად მოყვანილია: ა-თრევე-ინ-ებ-ს - ე-თრევე-ინ-ებ-ა.

საინტერესოა გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი: „კაუზატივი უდრის პირველ რიგში იმას, რასაც პროფ. ა. შანიძე შუალობითს კონტაქტს უწოდებს. მაგრამ ეს არის კაუზატივის ვინრო გაგება. ფართო გაგებით (და არსებითაც!) კაუზატივის კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი წარმოებაც, როგორცაა: **წუხ-ს > ა-წუხ-ებ-ს, დგ-ა-ს > ა-დგ-ენ-ს, რბ-ი-ს > ა-რბ-ევ-ს, თბ-ებ-ა > ა-თბ-ობ-ს...** აქვე შემოდიან ა-კეთ-ებ-ს, ა-შენ-ებ-ს, ა-თეთრ-ებ-ს ტიპის ნასახელარი გარდამავალი ზმნები“ (მაჭავარიანი 1988: 63).

ტ. ფუტკარაძის მოსაზრებით, მხოლოდ სუფიქსი საკმარისი არ არის შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად: საწყისისგან განსხვავებით, ზმნურ ფორმაში აუცილებელია ხმოვანი პრეფიქსის პოვნინერება: ვაკეთებ/ვაკეთე - ვ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ / ვ-ა-კეთ-ებ+ინ-ე... ის აღნიშნავს, რომ ა/ე ხმოვანი - მარცვლოვანი ფუძე - ებ+ინ- და ა/ე ხმოვანი - უმარცვლო ფუძე - ევ+ინ ზმნური ყალიბები აწარმოებს შუალობით კონტაქტს; იგი წერს: ა ხმოვანი-მარცვლოვანი ფუძე-ებ- ორვალენტოანი და ერთვალენტოანი ყალიბის მიმართება: ატირებს - ტირის... ა- **-ებ** კონფიქსი გამოყენებულია ნასახელარი ზმნების საწარმოებლადაც: ყვავილი - ა-ყვავილ-**ებ**-ს, მშვენიერი - ა-მშვენიერ-**ებ**-ს... კაუზატივი არ არის ერთი რანგის სუფიქსით (-ინ/-ევი) მარკირებული მორფოლოგიური კატეგორია. გამომდინარე აქედან, ტ. ფუტკარაძის აზრით, შუალობით კონტაქტს გამოხატავს კონკრეტული ზმნური ყალიბი (ფუტკარაძე 2013: 304, სქოლიო).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კაუზატივის წარმოება კილოებში მრავალფეროვანია. კაუზატივის მორფემები დიალექტებში ნაირგვარ ფონეტიკურ ცვლილებებს განიცდის.

სტატიაში განვიხილავთ კაუზატივის წარმოების შემთხვევებს ქართული ენის იმერხეულ დიალექტში; ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან მიმართებით წარმოვაჩინოთ იმერხეულ ქართველთა მეტყველებაში არსებულ მსგავს თუ განსხვავებულ ფაქტებს.

კვლევისას ძირითადად ვყვრდნობით ახალ დიალექტურ ტექსტებს, რომლებიც ჩანერილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2006-2018 წლებში იმერხევის სხვადასხვა სოფელში. აგრეთვე, დავამუშავეთ გამოქვეყნებული იმერხეული ტექსტები (ნ. მარი, ქართული დიალექტოლოგია, ქრესტომათია, I, თბილისი, 1961; შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993).

იმერხეულ დიალექტში **-ევ** სუფიქსიანი კაუზატივის ფორმები იშვიათად დასტურდება.

იმერხეულში, მსგავსად ქართული სამნიგნობრო ენისა და სხვა კილოებისა, კონტაქტის საწარმოებლად ძირითადად გვხვდება **-ინ** და **-ეგინ** სუფიქსები.

იშვიათად, **-ინ** მორფემა დასტურდება სრული სახითაც: რუბა, ქალისა შეაკერვინა (მარი 1961: 381)

-ინ მორფემა ხშირ შემთხვევაში ფონეტიკურად გამარტივებულია და ნარის გარეშე გვევლინება. საილუსტრაციო ნიმუშები:

ერთი სანდული **გაკეთებია** მუშამბალი (382); შენმა კაცმა ჩემი ცხენი **მოაპარვია**, სილაი **მოაპარვია** (387); ქოროლიმ ქალი **გააშვებია** (388) (მარი 1961).

ანაი **მამაკრეფიებდა**; კილო **გუაკითხვის**; **დამანახვიეთ** სულოი; მე **გადაგარუნიეთო**; თაქეთე **გაკეთებთ**; საქონლის თეზას **დააქელინებ**; ჰალალ **აქნევიებენ**; ჩაის **აკეთებებს**; წვერი **დამაკარგვია**; არ **მაათიბიებდა**... (ფუტკარაძე 2016: 134).

ორპირ **გავაკეთებთ** კბილები; დევლეთი არ **აკეთებთ**; ი ვაშლი **გააქანებთ**, მოტყდეს, ჭო (ექსპედ. მასალა).

ასეთი შემთხვევები ცნობილია სხვა კილოებშიც.

-ინ სუფიქსი, გარდა ნარის გაუჩინარებისა, იძლევა სხვა ვარიანტებსაც. ხშირია შემთხვევები, როცა **-ი** სუფიქსი ნარის შემდეგ გვხვდება, ასეთი მაგალითები დაასტურებულია გამოქვეყნებულ ტექსტებშიც: სხვაგან დაახვევნიე; **შიგან დაახვევნიე**... (ფუტკარაძე 2016: 135). **შ. ფუტკარაძე** ამ შემთხვევასთან დაკავშირებით წერს, რომ **-ინ** მანარმოებლის **ი** უკან გადაისმის.

გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომლებშიც **ი** არ ჩანს. ამ ფაქტთან დაკავსირებით **შ. ფუტკარაძე** მიუთითებს რომ ფორმაში „დენგრევენბიეს“ (ზამთარში დენგრევენბიეს) – „ინ“ მანარმოებელი მარტივდება „ი“-ს შეკვეცით (იქვე).

რაც შეეხება **-ეგინ** სუფიქსს, იგი ამ სახით იშვიათად დასტურდება:

შეეცოდა, აღარ **დააკვლევინა** (380); ბანი ხანუმა მის ესკერს **მოაკვლევინა** (383) (მარი 1861); წელინადი **მაცდევინეს**; გულები **ამაყრევინეს**... (ფუტკარაძე 2016: 135).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფონეტიკური ცვლილების შედეგად მარტივდება **-ეგინ** სუფიქსი ნარის გაუჩინარებით: სიზეს ყორ **დააკვლევებენ**; ვერ **ათქმევია**... (ფუტკარაძე 2016: 135).

ექსპედიციის მასალებში დადასტურდა კაუზატივის ასეთი ფორმები:

გაკეთდეს უნდაო და **გააჭრევნია**; აქ ტყე ქი **მოაჭრევნია**, ამ სოფლი გაღმიდან, მესელა, ჩვენ თავრობამა თუ ტყე **მოაჭრევნია**, მერე სვავი წეილეთს სოფელ; არ **გვაკვლევნიეთ** ჰუქუმეთი.

ხაზგასმულ ფორმებში წარმოდგენილი **-ეგინ** კონტაქტის მანარმოებლად არის მიჩნეული.. ამოსავალია: აჭრ-**ეგინ**-ებს, აკლვ-**ეგინ**-

ებს (ჯორბენაძე... 1988: 134). ამ შემთხვევაში საკვლევი რჩება, როგორ მივიღეთ დიალექტური ფორმები: **გააჭრევნია, გვაკვლევნიფს...**

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ვ+ი“ ბგერათ-მიმდევრობა თავკიდურ პოზოციაში არაბუნებრივი ჩანს, როგორც ქართველური დიალექტებისთვის, ასევე სალიტერატურო ენისთვის (ფუტკარაძე... 2004: 63-64). არ არის გამორიცხული, რომ ამავე ფაქტორის გავლენით -**ეფინ** სუფიქსი გამარტივდა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა საკუთრივ იმერხეული დიალექტისთვის არის დამახასიათებელი.

გვხვდება სპეციფიკური ფორმები როგორც გამოქვეყნებულ ტექსტებში, ასევე ექსპედიციის მასალებში. მაგალითად, შ. ფუტკარაძესთან დასახელებულია ფორმები: **ჩამეეტანლებიეს** და **დავაკრომივ**. მეცნიერი ამ ფორმების შესახებ წერს. რომ ზოგჯერ ზმნის მეორე თურმებითი ფორმაში უფრო რთულ ფონეტიკურ ფორმას ვაწყდებით. კერძოდ: „ინ“ მანარმოებლის „ნ“ ძირისეულ ნარნარა თანხმოვანთა მემობლობაში, დისიმილირდება „ლას“-ად, „ი“ ხმოვანი კი იკარგება: შარშან ჩამეეტანლებიეს. ასევე, შუალობითი კონტაქტის ფორმაა „დავაკრომივ“, ამ ფორმასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ის „დავაკრევიენე“ ფორმისგანაა წარმოქმნილი (ევ-ო; ფუძისეული „ვ“ იკარგება, „ინ“ მანარმოებლის „ნ“ შეცვლილია მანით). მაგ.: ზურნა **დავაკრომიოთო**; აქორდეონს **დააკრომიებს...** (ფუტკარაძე 2016: 135).

საინტერესო ფორმა „მოგაკვდინოს“ ჩავინერეთ 2018 წლის დიალექტო-ლოგიური ექსპედიციისას. მთქმელი აღნიშნულ ფორმას წყევლის გამომხატველ ფრაზაში ამბობს: „მეხი დეგეცა თავზე, მერთმა **მოგაკვდინოს**, დღე დიგილიოს!“

მსგავსი წარმოება დადასტურებულია არქაულ ქართულში. ამ ფორმის შესახებ გ. მაჭავარიანი წერს: მოაკვდინა არსებითად იმასვე ნიშნავს, რასაც მოკლა. ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივი ორპირიანი გარდამავალი ზმნაა და კაუზატივად, რასაკვირველია, ვერ ჩაითვლება. ვრცელი მსჯელობის შემდეგ კი აღნიშნავს, რომ მო-ა-კუდ-ინ-ა ისეთივე კაუზატივია, როგორც და-ა-წერ-ინ-ა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მო-ა-კუდ-ინ-ა ორპირიანია, და-ა-წერ-ინ-ა - სამპირიანი (მაჭავარიანი 1988: 64-65).

როგორც ვნახეთ, იმერხეული დიალექტი საინტერესო სურათს გვიჩვენებს კაუზატივის ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. გვხვდება არქაული ვითარებაც. გაბატონებული ჩანს -**ეფინ** სუფიქსიანი წარმოება. დასტურდება პარალელური წარმოებაც. შეიძლება ითქვას, რომ კაუზატივის აფიქსები გამოყენებულია ყალიბის სანარმოებლად.

დამონშებული ლიტერატურა და წყაროები

მარი 1961: მარი ნ., იმერხეული ტექსტები: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, ქრესტომათია, I. თბილისი, 1961.

მაჭავარიანი 1988: მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXVII. თბილისი, 1988.

ფუტკარაძე...2004: ფუტკარაძე ტ., დადიანი ე., I სუბიექტური პირის ვ-ნიშნის მეტათემისისათვის ქართველურ დიალექტებში. ქართველოლოგიური კრებული, III. თბილისი, 2004.

ფუტკარაძე 2013: ფუტკარაძე ტ., ქართულ ზმნურ ფორმათა განდასების მეთოდოლოგიური საფუძვლებისათვის. უურნალი ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი, 2013.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე. ბათუმი, 2016.

შანიძე 1980: შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III. თბილისი, 1980.

ჩიქობავა 1950: ჩიქობავა არნ., ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 1950.

ჯორბენაძე... 1988: ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

ჯორბენაძე 1983: ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი, 1983.

ექსპედიციის მასალები: ჩანერილია 2006-2018 წლებში იმერხევის სოფლებში. დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფოფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.